

## დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა პრობლემები და პერსპექტივები

სოფიო დოლიძე, თეონა ლოდია  
თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი  
[Sofio.dolidze@gmail.com](mailto:Sofio.dolidze@gmail.com), [teona.lodia@tsu.ge](mailto:teona.lodia@tsu.ge)

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ზოგიერთი მნიშვნელოვანი შედეგი. 2013 წლის სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია ძირითადი პრობლემები, საუბარია სავარაუდო მიზეზებსა და დაძლევის სტრატეგიებზე.

**საკვანძო სიტყვები:** სასერტიფიკაციო გამოცდა, პროფესიული ცოდნა და მეთოდოლოგია, აკადემიური უნარები, წერა-კითხვის სწავლება.

დაწყებით საფეხურზე სწავლება მეტად საპასუხისმგებლო და რთული საქმეა. დაწყებითი კლასები არის საფუძველი ადამიანის სასწავლო საქმიანობისა არა მხოლოდ სკოლაში, არამედ უმაღლეს სასწავლებელშიც. შეიძლება ითქვას, სწორედ აქ იძენს ადამიანი იმ ძირითად ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებსაც მუდმივად იყენებს ცხოვრებაში, მომავალ პროფესიულ საქმიანობაში. სოციალიზაციის ერთ-ერთ პირველ ეტაპსაც ბავშვი ამ პერიოდში გაივლის. შესაბამისად, მასწავლებელს, რომელმაც უნდა გააცნოს მოსწავლეს თანატოლები, შეაგუოს სასკოლო ცხოვრებას, ხელი შეუწყოს იმ უნარების განვითარებას, რომლებიც საფუძველად დაედება ბავშვის მომავალ სასწავლო საქმიანობას, ძალზე სერიოზული მოვალეობა აკისრია (1). ამ საპატიო მოვალეობის შესასრულებლად საჭირო პედაგოგიური უნარები, ცოდნა და კომპეტენცია განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით (3). სტანდარტი არის ის დოკუმენტი, რომელსაც ეყრდნობა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტი.

სასერტიფიკაციო გამოცდის მიზანია, გამოავლინოს მასწავლებლის პროფესიონალიზმი, დაადასტუროს, რომ მასწავლებლის ცოდნა და მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემის უნარი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქართველოში სრული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური, ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, I – VI კლასებს მოიცავს (2). არსებული რეალობის გათვალისწინებით, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს რამდენიმე ტიპის სერტიფიკატის მოპოვება შეუძლია:

- I – IV კლასების მასწავლებელი, რომელიც ამ კლასებში ასწავლის ძირითად საგნებს (ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას);

• I – VI კლასების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ერთ კონკრეტულ საგანს(ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა).

შესაბამისად, გამოცდების ეროვნული ცენტრი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის ამზადებს შემდეგ საგამოცდო ტესტებს:

• დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ტესტი (I –IV კლასების მასწავლებელთათვის);

• დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ე. წ საგნობრივი ტესტი (I – VI კლასების მასწავლებელთათვის).

თითოეული სასერტიფიკაციო ტესტი შედგება ორი ნაწილისგან:

• პროფესიული ცოდნა და მეთოდისა (ქართული ენა და ლიტერატურა, კითხვისა და წერის სწავლება, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა);

• აკადემიური უნარები (წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა).

პროფესიული ცოდნისა და მეთოდის ნაწილში მოწმდება როგორც პროფესიული (საგნობრივი) ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბუნებისმეტყველებაში და მათემატიკაში, ასევე ამა თუ იმ საგნის სწავლების მეთოდების, კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიების ცოდნა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების ცოდნას. მასწავლებლის აკადემიური უნარების შემოწმების მიზნით, ტესტში გამოყოფილია ორი ბლოკი – წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა.

პროფესიული ცოდნის და მეთოდის ნაწილის მნიშვნელოვანი ბლოკია კითხვისა და წერის სწავლება. კითხვისა და წერის სწავლების თანამედროვე მიდგომების ცოდნა, გაცნობიერება იმისა, თუ რა უნარები უდევს საფუძვლად კითხვის ათვისების პროცესს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის, არამედ დაწყებითი საფეხურის ნებისმიერი სხვა საგნის პედაგოგისთვისაც. მაგალითად, არცთუ იშვიათად მოსწავლის მიერ მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას შეცდომის დაშვების მიზეზი არის დავალების პირობის წაკითხვისა და გაგების პრობლემა და არა ხარვეზები მათემატიკის ცოდნაში. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს უნდა შეეძლოს მისთვის შესაბამისი დახმარების სტრატეგიის შეთავაზება. წერისა და კითხვის ათვისების პრობლემის მქონე ბავშვები ხშირად აწყდებიან სირთულეებს სხვადასხვა წერითი დავალების შესრულების დროსაც. მაგალითად, თუ ბავშვს სიტყვის ბგერითი ანალიზი და სინთეზი უჭირს, მას გაუჭირდება დავალების პირობის კარნახით ჩაწერაც. მიუხედავად იმისა, თუ რომელ საგანს ასწავლის, პედაგოგი ვალდებულია, მოსწავლეს სათანადო დახმარება შესთავაზოს. კითხვისა და წერის ათვისების სირთულეების დაძლევა მხოლოდ სხვადასხვა საგნის პედაგოგთა თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

I-IV კლასის მასწავლებლის ტესტის მაქსიმალური ქულა არის 100, ხოლო I-VI კლასის მასწავლებლის ტესტისა – 80. თითოეული ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამური ქულის 60%-ს შეადგენს, ამასთანავე, აკადემიური უნარების ნაწილში პედაგოგმა ქულათა მინიმუმ 40% უნდა დააგროვოს.

ქვემოთ მიმოვიხილავთ 2103 წლის სასერტიფიკაციო გამოცდის რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების გაანალიზებისა და მომავალ პედაგოგთა მოსამზადებელი პროგრამების შინაარსის დაგეგმვის მიზნით.

#### შედეგები

2013 წლის შედეგების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ I-IV კლასების მასწავლებელთა მხოლოდ 6,48%-მა გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გაცილებით მაღალია წარმატებულ პედაგოგთა პროცენტული მაჩვენებელი I-VI კლასის მასწავლებლების შემთხვევაში. შესაბამისად, ტესტში მიღებული საშუალო ქულა შედარებით დაბალია I-IV კლასის მასწავლებლებთან და ის 100-დან 45.5-ს შეადგენს (იხ. ცხრილი №1).

#### ცხრილი №1

გამოცდის ტიპი	მონაწილეთა რაოდენობა	გადალახა ზღვარი	საშუალო ქულა
I-IV	3722	6.48%	45.5
I-VI ქართული	1491	27.30%	42.08
I-VI მათემატიკა	1472	21.20%	41.82
I-VI ბუნებისმეტყველება	711	27.57%	41.96

ზემოთ აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია სასერტიფიკაციო ტესტის ორ ძირითად ნაწილში მიღებული შედეგების მიხედვითაც. პროფესიული ცოდნისა და მეთოდის და აკადემიური უნარების ნაწილში I-IV კლასის მასწავლებელთა შედეგები I-VI კლასის მასწავლებლების შედეგებთან შედარებით დაბალია. მაგალითად, I-IV კლასის მასწავლებლების საშუალო ქულა პროფესიული ცოდნისა და მეთოდის ნაწილში მაქსიმალური 80-დან 37.97-ს შეადგენს, მაშინ როცა I-VI კლასების ქართულის მასწავლებლების საშუალო მაჩვენებელი მაქსიმალური 60 ქულიდან 32.43-ია. აკადემიური უნარების ნაწილში ყველაზე მაღალი შედეგები I-VI კლასის ქართულის მასწავლებლებმა აჩვენეს, საშუალო ქულა ამ შემთხვევაში მაქსიმალური 20-დან 9.65-ს შეადგენს (იხ. ცხრილი №2)

#### ცხრილი №2

ტესტის ტიპი/საშუალო ქულა	პროფესიული ცოდნა და მეთოდика	აკადემიური უნარები
I-IV	37.97 (80)	7.54 (20)
I-VI ქართული	32.43 (60)	9.65 (20)
I-VI მათემატიკა	33.71 (60)	8.11 (20)
I-VI ბუნებისმეტყველება	33.05 (60)	8.91 (20)

საინტერესოა, განვიხილოთ წერა-კითხვის სწავლების ნაწილში მიღებული შედეგები. ტესტის ამ ნაწილში მოცემული დავალებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერა-კითხვის სწავლების მეთოდების ცოდნასა და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარს ამოწმებს. შესაბამისად, უნდა მოველოდეთ, რომ I-IV კლასის მასწავლებლებთან ტესტის ამ ნაწილში მიღებული შედეგები მაღალი უნდა იყოს. თუმცა, საშუალო ქულაც და შესაბამისად, სირთულის ინდექსიც I-VI კლასის მასწავლებლებთან უფრო მაღალია (იხ. ცხრილი №3)

*ცხრილი №3*

გამოცდის ტიპი	საშუალო ქულა	სირთულის ინდექსი
I-IV	7.3	49.4
I-VI ქართული	7.9	55.5
I-VI მათემატიკა	7.8	54.1
I-VI ბუნებისმეტყველება	7.6	51.9

კვლევებით დადგენილია (4), რომ კარგ მკითხველს შეუძლია:

- ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა;
- ტექსტზე დაყრდნობით უშუალო დასკვნების გამოტანა;
- ტექსტში მოცემული აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტირება საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია, ამ უნარების განვითარებას დაწყებით საფეხურზე ჩაეყაროს საფუძველი. შესაბამისად, წერა-კითხვის სწავლების ნაწილში მოცემულია დავალებები, რომლებიც ამოწმებს მასწავლებლის უნარს ტექსტზე დაყრდნობით დაუსვას მოსწავლეს სამი ტიპის შეკითხვა. ეს დავალება განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა პედაგოგებისთვის. განსაკუთრებით დაბალი სირთულის ინდექსით გამოირჩევა შეკითხვები, რომლებიც ეხება ტექსტიდან დასკვნის გამოტანასა და ახალი ცოდნის გამოცდილებასთან ინტეგრაციას. ამ შემთხვევაშიც I-IV კლასის მასწავლებლების მაჩვენებლები დაბალია I-VI კლასის მასწავლებლების შედეგებთან შედარებით. ნიშანდობლივია, რომ ტექსტიდან დასკვნის გამოტანის შესახებ შეკითხვა ყველაზე მარტივად შესასრულებელი I-VI კლასის მათემატიკის მასწავლებლებისთვის აღმოჩნდა (იხ. ცხრილი №4).

### სხვადასხვა ტიპის შეკითხვების სირთულის ინდექსი

ცხრილი №4

გამოცდის ტიპი/შეკითხვის ტიპი	ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაცია	ტექსტიდან დასკვნის გამოტანა	ახალი ცოდნის გამოცდილებასთან ინტეგრაცია
I-IV	39	21	22
I-VI ქართული	55	33	31
I-VI მათემატიკა	52	45	32
I-VI ბუნებისმეტყველება	47	35	29

შევეცადეთ გაგვერკვია, არის თუ არა კავშირი წერისა და კითხვის სწავლების ნაწილსა და აკადემიური უნარების ცალკეული დავალებების შესრულების დონეს შორის. გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია, რაც აჩვენებს, რომ მასწავლებლებს, რომელთაც შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ წერისა და კითხვის სწავლების ნაწილში, ასევე მაღალი შედეგები აქვთ აკადემიური უნარების ნაწილშიც. მაგალითად, I-VI კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან წერისა

და კითხვის სწავლების ნაწილის მაჩვენებელსა და წაკითხულის გააზრების მაჩვენებელს შორის კორელაციის კოეფიციენტი  $r=400^{**}$  (იხ. ცხრილი №5).

*წერისა და კითხვის სწავლების ნაწილის მიმართება აკადემიურ უნარებთან*  
ცხრილი №5

გამოცდის ტიპი/დავალების ტიპი	წაკითხულის გააზრება	ესსე მთლიანად	ესსე /არგუმენტაცია
I-IV	.246**	.305**	.253**
I-VI ქართული	.291**	.313**	.259**
I-VI მათემატიკა	.296**	.340**	.267**
I-VI ბუნებისმეტყველება	.400**	.450**	.275**

განხილული შედეგები, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს პრობლემათა სავარაუდო მიზეზებსა და დაძლევის გზებზე ვისაუბროთ:

- მნიშვნელოვანია გამახვილდეს ყურადღება დაწყებითი საფეხურის არსებულ სტრუქტურასა და ეროვნული სასწავლო გეგმის (სტანდარტის) მოთხოვნების შესაბამისობაზე. სასურველია დაწყებითი საფეხურის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით სამეცნიერო/საუნივერსიტეტო კვლევების ინიცირება.
- გადახედვას საჭიროებს მასწავლებელთა არსებული მოსამზადებელი პროგრამები – მათი შეესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან. საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნებთან.
- აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს ნაკლები აქვთ კვალიფიკაციის ზრდის შესაძლებლობება – საჭიროა მათთვის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი (კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული, გრძელვადიანი) ღონისძიებების შეთავაზება.
- მნიშვნელოვანია, არგუმენტაციასა და მსჯელობის უნარის განვითარებაზე დაფუძნებული სასწავლო პრაქტიკის გაძლიერება როგორც მომავალი პედაგოგების მოსამზადებელ, ასევე არსებული პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კრებული დაწყებითი საფეხურის პედაგოგთათვის. გამოცდების ეროვნული ცენტრი: 2013წ.
2. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.
3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სტანდარტი.
4. როგორ ვასწავლოთ კითხვა. დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის. გამოცდების ეროვნული ცენტრი: 2010